



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 5
12/01/2018

5-06-4-201801121737



განკარგულება №5 2018 წელი 12 იანვარი

2017 წელს გაუქმებული ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიმართ რეორგანიზაციის განხორციელების მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 106¹-ე მუხლის 4-ე ნაწილის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლისა და „2017 წელს გაუქმებული მუნიციპალიტეტების საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული უძრავი/მოძრავი ქონებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციისა და 2017 წელს შექმნილი შესაბამისი მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 აგვისტოს №416 დადგენილების შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. 2017 წელს გაუქმებული ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიმართ რეორგანიზაციის განხორციელების მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, კერძოდ:

1. ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი“-ს (ს/ნ.437063035) და ა(ა)ი.პ. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სერვისცენტრი“-ს (ს/ნ.437063026) შეწრყმის შედეგად შეიქმნას იმავე მიზნების მქონე ერთი იურიდიული პირი - ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი“;
2. ა(ა)ი.პ. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო –საგანმანათლებლო ცენტრი“-ს (ს/ნ. 437062982) და ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს (ს/ნ.437062991) შეწრყმის შედეგად შეიქმნას იმავე მიზნების მქონე ერთი

იურიდიული პირი - ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“;

3. ა(ა)ი.პ. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმი“-ს (ს/ნ.437063008) და ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანების“ (ს/ნ. 419993573) შეწყვეტის შედეგად შეიქმნას იმავე მიზნების მქონე ერთი იურიდიული პირი - ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანება“;

3. ა(ა)ი.პ. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი“-ს (ს/ნ.437064846) და ა(ა)ი.პ. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და დასვენების პარკი“-ს (ს/ნ.237110915) შეწყვეტის შედეგად შეიქმნას იმავე მიზნების მქონე ერთი იურიდიული პირი - ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის და სარეკრიაციო დაწესებულებათა გაერთიანება;

4. ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი“-ს (ს/ნ.437062786) და ა(ა)ი.პ. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრი“ შეწყვეტის შედეგად შეიქმნას (ს/ნ.437065685) იმავე მიზნების მქონე ერთი იურიდიული პირი - ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანება“.

მუხლი 2. ამ განკარგულების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების ლიკვიდაციის მიზანშეწონილობაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 მარტის N10 განკარგულება და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო - საგანმანათლებლო ცენტრი“-ს ლიკვიდაციის თაობაზე - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 მარტის N17 განკარგულება.

მუხლი 3. განკარგულება გადაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ს.ს.ი.პ. „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

